ცნობის ფურცელი

№ 1915 ოთხშაბათი, 4 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1915

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა
ელისაბედის ქუჩა № 25. ემაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—7)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. ვ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. ვ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარხუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. ვ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის- და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და გვამის აგრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები - სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანმჭედლისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საპავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

1 ენკენისთვიდან «ქ. ოზურგეთში» გაიხსნა **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიული კურსით.** თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტაძის სახლში. (6. 10—3).

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

დ. საჩხერეში
მასწავლებელი **ზერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალობას** ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს საქალაქო სასწავლებლისათვის. (4—2)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. კონგრეგაციების სკოლების დახურვის თაობაზე გაზ. „მატენ“-ი გესლიანად შეჰნიშნავს:

„ბრეტანში რომ ბერების სკოლები დახურეს, საშინელი ყვირილი მორთეს კლერიკალებმა. ისეთი ალიაქოთი ასტეხეს, რომ მე გულ-უბრყვილოდ ვფიქრობდი, იქ ბერების სკოლების ხსენებაც აღარ იქნება, მეთქი: ალბად, ყველა სკოლები დახურეს და ყველა მონაზნები განდევნეს, მაგრამ ეხლა „რევიუ ბლანშ“-ში ბრეტანიის კონგრეგაციების თაობაზე გამოკვლევა წავიკითხე და გული ისევ დავიმშვიდე. თურმე მეორე იმპერიის დროს, 1861 წელს, ბრეტანში სულ 858 დაწესებულება ჰქონიათ კონგრეგაციებს. შემდეგ დაარსდა რესპუბლიკა. რესპუბლიკა კიდე, ხომ მოგეხსენებათ, კათოლიკე სარწმუნოებისა და იმისი მსახურების მოსისხლე მტერია: თავისი დღენი ამ სარწმუნოების დევნასა და მტრობაში ატარებს, სულ იმასა სცდილობს, მისი მსახურნი დაამხოს. სწორედ ამის გამო კონგრეგაციების დაწესებულებათა რიცხვი ამ ორის თვის წინად 4,945-მდე ასულა ესე იგი 4087 მოჰმატებია. ამ დროს გაჩნდა კომბი გულქვავი. ამ კაცმა ახალი კანონის ასრულება მოინდომა და საშინელის გულ-ქვაობითა და სისასტიკით დევნა დაუწყო კონგრეგაციებს. თუ რა სასტიკი და შეუბრალებელი კაცია კომბი, იქიდან სჩანს, რომ 5,945 დაწესებულებიდან კომბმა გაბედა და 55 დახურა, ისიც იმიტომ, რომ სხვაფრივ ვერას გახდა: კონგრეგაციები თავიანთ ნებით არ დაემორჩილნენ კანონს. ისტორია უსათუოდ დამგმობს ამ ულმობელს კაცს. მაგრამ მადლობა ღმერთსა! კონგრეგაციებს კიდევ დარჩათ 4,890 დაწესებულება. მამულიც ასე 4,626 ჰეკტარი ექნებათ, ამას გარდა დიდძალი მოძრავი ქონებაცა აქვთ მაგრამ ამ ქონების ნამდვილი რაოდენობა, რასაკვირველია, არავინ იცის!

◆ კონგრეგაციების დახურვის დროს პარიზში და ბრეტანში კლერიკალებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობას და ბევრგან შფოთიანი მანიფესტაციებიც მოახდინეს. ეხლა სოციალისტებსა და რესპუბლიკელებსაც უფიქრნიათ, 8 სექტემბერს, პარიზში დიდი ანტიკლერიკალური მანიფესტაცია მოვახდინოთო. სხვა და სხვა მიმართულების რესპუბლიკელთა 25 ჯგუფს კომიტეტიც დაუნიშნავთ ამ მანიფესტაციის გასამართავად.

◆ ქვემო შარანტის დეპარტამენტში, ჟონზაკს დამატებით არჩევანში სამინისტროს მომხრე რადიკალი ლარკიე აურჩევიათ. ლარკიეს—10,391 ხმა მიუღია; იმის მოპირდაპირეს, ნაციონალისტს მარშანს კი—9,245.

ინგლისი. ბურების გენერლები ბოტა, დევეტი და დელარეი—მეორედ მივიდნენ ლონდონში ჩემბერლენთან მოსალაპარაკებლად. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რის თაობაზედაც ეწადათ გენერლებს მოლაპარაკება. მოლაპარაკება მოხდა კიდეც, მაგრამ ნამდვილად კი არავინ იცის, თუ რით დაბოლოვდა ეს მოლაპარაკება. ინგლისურ გაზეთებს შეუტყვიათ, ამ მოლაპარაკებამ ფუჭად ჩაიარაო. ჩემბერლენს უთქვამს: მე თითონ წინააღმდეგი არა ვარ თქვენი თხოვნის ასრულებისა, მაგრამ ინგლისის ერის ერთი ნაწილისა და კაპელი ინგლისელებისა მერიდებაო.

ინგლისური გაზეთები უმატებენ: ბურების გენერლები რომ ჩვენი ფლოტის აღლუმს დასწრებოდნენ, იქნება იმათ თხოვნასაც უფრო გაეჭრაო. ძლიერ შესცდნენ გენერლები, ამ აღლუმს რომ არ დაესწრნენო. აკი ფელდმარშალ რობერტს მაშინვე ეთქვა ბოტასათვის: ძლიერ სცდებით, გენერალო, ამ აღლუმს რომ არ ესწრებითო. ამას გარდა, ბურების გენერლები ჯერ ჰოლანდიას წავიდნენ კრიუგერთანა, რეიცთანა და სხვა შეურიგებელ ბურებთან მოსალაპარაკებლად და მარტო ამის შემდეგ დაბრუნდნენ ლონდონს და ჩემბერლენს წარუდგინეს თავიანთი თხოვნაო.

გაზეთები ამბობენ, ჩემბერლენს ვითომ მეორედაც ჰქონია ბოტასთან მოლაპარაკება: ზოგი ამბობს, ვითომ ჩემბერლენს მოენდომებინოს ბოტას ნახვა; ზოგი კიდე ამტკიცებს, ჩემბერლენმა კი არა, თითონ ბოტამ მოისურვა ჩემბერლენთან ხელ-მეორედ მოლაპარაკებაო. ამბობენ, ჩემბერლენი გენერლებში ყველაზე კარგად ლუი ბოტას მოჰქცევია; დევეტთან ძალიან გულ-გრილად ულაპარაკნია, რადგანაც დევეტი თითონაც მეტად მკაცრადა და მკვახედ ელაპარაკებოდა ჩემბერლენსაო. დელარეის კი თურმე მაგდენი მონაწილეობა არ მიუღია მოლაპარაკებაში.

რა მოულაპარაკნიათ ჩემბერლენსა და ბოტას, ესეც ჯერ ვერ გაუგიათ გაზეთებს.

◆ შარშან რუსეთიდან სოფლის მეურნეები წავიდნენ ინგლისს იქაურ სოფლის მეურნეობის სანახავადა და შესასწავლად. ინგლისელ სოფლის მუშების ცხოვრება რომ ნახეს, ამ რუსის მეურნეებმა თქვეს თურმე: ამ სოფლის მუშებს ჩვენებურ წვრილ მემამულეებზე კარგად უცხოვრიათო. ამის თაობაზე გაზ. „როსია“-ში წერილიც იყო დაბეჭდილი. ინგლისელი ქალაქის მუშები ხომ კიდე გაცილებით კარგად ცხოვრობენ სოფლის მუშებზე და იქნება ჩვენებურ თავადიშვილებზედაც. გაზეთ „რუსკია ვედომოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იწერება ამის თაობაზე:

ტრედ-უნიონისტების პირველი კონგრესი 1865 წ. შეიყარა. მას აქეთ ინგლისელი მუშების ყოფა ძლიერ გაუმჯობესდა. აქაურ მუშას საშუალოდ რამდენიმე ოთახი უჭირავს, უმეტეს ნაწილად ცალკე პატარა სახლში დგას. ოთხი-ხუთი ოთახი აქვს, კარწინ კიდევ პატარა ბაღი. ოთახის კედლებზე შპალერი აქვს გაკრული. თითქმის ყოველ სადგომში საბანებელი (ვანა) უდგათ. მუშების უბნებში, საცა კი გაიაროთ, მაღაზიებში ყველგან რბილ მებელს, კარგ ფორტეპიანოს და ხალიჩებს ჰნახვთ. ამ მებელს სულ მუშები ჰყიდულობენ, ფულს ნაწილ-ნაწილადა იხდიან, კვირაში ათ-ათი შაური შეაქვთ. მართლაც ყოველ ტრედ-უნიონისტს სასტუმროში უსათუოდ 6 სკამი, ორი სავარძელი და დივანი უდგა. თუ სახლში ქალები ჰყავს, უსათუოდ პიანინოც აქვს; ფაბრიკებში მომუშავე, ან მოსამსახურე ქალები კვირაობით სხვა-და-სხვა რომანსებს უკრავენ. ბევრ მუშას სახლში პატარ-პატარა ბიბლიოთეკებიც აქვთ.

ინგლისელმა მუშამ ყველა რომ მოიკლოს, გაზეთს ან კლუბს კი ვერ მოიკლებს. როცა მუშა კაცი საღამოთი შინა ბრუნდება, სერთუკს იხდის, ჩიბუხს უკიდებს და გაზეთის კითხვაში ერთვება. კლუბში კიდევ შაბათობით დადის, მთელის თავისის სახლობიანად; ძუძუ-მწოვარა ბავშვებიც კი თან მიჰყავს. კლუბში ხანში შესული ხალხი თავიანთ საქმესა და პოლიტიკაზე ბაასობენ, ახალგაზრდობა კი თამაშობას რჩეობს. მუშების კლუბში აუცილებლად „პოლიტიკური კომიტეტი“-ც არსებობს სხვა დასებთან საქმის დასაჭერად და მოსალაპარაკებლად. კლუბებში ხან-და-ხან კამათიც იმართება ხოლმე სამეცნიერო საგნებზე. ლექციების წასაკითხად ლექტორებს იწვევენ და ასე და ამნაირად კლუბში ნელ-ნელა პატარა „სახალხო უნივერსიტეტი“ იმართება. მუშების კლუბები თავიანთ წევრებს აქეთ-იქით სამოგზაუროდაც ჰგზავნიან ქვეყნების დასათვალიერებლად და შესასწავლად.

ეხლა ლონდონში მე-35-ჯერ შეიკრიბა ტრედ-უნიონისტების კონგრესი. ამ კონგრესზე პირველი კონგრესის მომსწრე დელეგატებიც მოვიდნენ. ესენი თავიანთის თვალით ჰხედავენ, თუ რა რიგად წინ წაიწია ინგლისელმა მუშამ და რანაირად გაუმჯობესდა მისი ყოფა.

სპარსეთი. ძალიან განსაცდელშია ჩავარდნილი ეს სახელმწიფო. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი დევი სახელმწიფო მოჰდგომია და ლამის კოზაკივით შუაში გაჰყლიტონ. რასაკვირველია, ყველაზე ძლიერ სპარსეთისათვის თანამორწმუნე ოსმალეთს შესტკივა გული. ოსმალური გაზეთი „მალიუმატო“-ი აწერს სპარსეთის გაჭირვებულს მდგომარეობას და ასე არიგებს სპარსეთის მთავრობას:

„ასეთ განსაცდელში ჯერ არას დროს არ ყოფილა ჩავარდნილი სპარსეთი. სწორედ ორ ცეცხლ შუაა მოქცეული. ჩვენ დროში სპარსეთს ვერც გეოგრაფიული მდებარეობა და ვერც საზღვრები ვერ დაიხსნიან გარეშე მტრის შემოსევისაგან. ორის მხრიდან ემუქრის მტერი ამ ქვეყანას და შინაური არეულობა და უწესოება ხომ უფრო ხელს უწყობს ამ მტრებს. მუზაფერ-ედინ-შაჰი დიდ გაჭირვებაში იმყოფება: ერთს მტერს მიემხრობა, მეორეს გადაიკიდებს; მეორეს მიეკედლება—პირველს უფრო გადაიმტერებს. რასაკვირველია, ჩვენ ჭკვას ვერ ვასწავლით შაჰის და იმის მინისტრებს, მაინც კი ჩვენის აზრით უკეთესი იქნება, ჩვენის ბრძენი ფადი-შაჰის პოლიტიკას მისდიონ დი ორივე მტრის გული მოიგონ, თანაც თავიანთ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიც არ დაივიწყონ.

სპარსეთს, უეჭველია, ჩრდილოელ მეზობლისა უფრო უნდა ეშინოდეს. საშინელი რამ არის. ამას იმიტომ კი არა ვამბობთ, რომ ამ ჩრდილოელმა დევმა ჩვენც გვიკბინა; ხელიც რომ არ ეხლო ჩვენთვის, მაინც კიდევ იმას ვიტყვით, რომ ეს ჩრდილოელი დევი საშინელი რამ არის.

ინგლისი-კი, თუმცა სარგებლობს სუსტ ერების სარჩოთი და შრომით, ამ ერების სულიერ ცხოვრებას მაინც არ ეხება. ინგლისელები თითონაც კარგად ცხოვრობენ და არც სხვებისათვის ჰშურთ პირში სული და რიგიანი ცხოვრება. თეირანში, რასაკვირველია, კარგად ესმით, თუ რა დიდი განსხვავება ამ მეზობლებს შუა და ამიტომ დიდის სიფრთხილით ექცევიან უფრო საშიშარ ჩრდილოელ მტერს. ჩვენს მეზობლებს მაინც უნდა ახსოვდეთ, რომ ბრძოლა ქრისტიან ერებთან მეტად ძნელია, ამიტომ უსათუოდ საჭიროა სპარსეთმაც თავისი სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე გააძლიეროს. ამისთვის კიდევ საჭიროა მჭიდროდ დაუახლოვდეს ოსმალეთს და თავის ჯარის გასაწვრთნელად ოსმალელი ოფიცრები მიიწვიოს. რკინის გზები ინგლისს უნდა გააყვანინონ და არა ჩრდილოელ მეზობელს. ინგლისს მარტო

ეკონომიურ ინტერესისათვის გაჰყავს ხოლმე გზები; ჩრდილოელ მეზობელს კი სულ სხვა აზრით გაჰყავს ეს გზები“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **ქუთაისიდან გვწერენ:** „ქართულმა გაზეთებმა ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანეს: ჩვენს მოღვაწეთა ისედაც მცირე რიცხვს მოაკლდა სინიდისიერი მუშაკი—დრამატურგი ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი. ამ მოულოდნელ ამბით დაღონებულნი ქუთაისელი ქართველნი ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას ქართველ საზოგადოებისა და განსვენებულის ნათესავთა მწუხარებას. მოსწავლე ქართველები“.

◆ მთავარ-მართებელს განკარგულება მოუხდენია, **ათი თუმანი მიეცეს ობსერვატორიას** ცალკე ცეცხლისაგან ზარალის ასადგენად. თვითონ დირექტორსაც ობსევატორიისას, ბ-ნ გლასეკს, უთხოვნია სამეცნიერო აკადემიისათვის საჭირო ფულის გადადება, რომ ობსერვატორია შეკეთდეს და თავისი ჩვეულებრივი მოქმედება დაიწყოს.

◆ ობსერვატორიის დაწვის გამო ჯერ პოლიციური გამოძიება არ დამთავრებულა,. მაგრამ იმდენად-კი გამოუკვლევიათ ამ დაწვის ამბავი, რომ დარწმუნებულან, **ცეცხლი განზრახვით წაუკიდნიათ ობსერვატორიის** სადგომისათვის. ბოროტ-გამზრახველის კვალი ჯერ ვერ უპოვნიათ, რადგან ძლიერ მოხერხებულად ჩაუდენია ეს საქმე. ცეცხლისაგან ზარალს თვითონ დირექტორი ობსერვატორიისა ანგარიშობს 30—40 ათას მანეთისას.

◆ გუშინ, 3 სექტემბერს, ტფილისს ჩამოვიდა სრულიად **ხონისა კათალიკოსი** მკრტიჩ 1-ლი.

◆ ჯარებისათვის საჭირო **ურმების გამოყვანა**, ბევრის მაგიერ, იჯარით უნდოდა მთავრობას გაეცა. ამისათვის მოიჯარადრეც გამოჩნდა, პირობაც დაუწერეს ამ სექტემბრის 1 ლ რიცხვიდან 1905 წლის 1-ლ სექტემბრამდე, მაგრამ მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია ეს პირობა. ამისათვის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, ტფილისის მაზრის მცხოვრებლებმა საბევრო ურმები გამოიყვანონ ხოლმე ჯარის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ ტფილისის სახაზინო პალატის გარდაწყვეტილებით, ამ დღეებში შესდგა განსაკუთრებული კომისია ტფილისის მესამე განყოფილების გადასახადთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას დაევალა, 1903 წლისათვის გაანაწილოს ტფილისის უძრავ მამულების პატრონებზე **სახელმწიფო და საერობო გარდასახადები**. სახაზინო პალატის უფროსმა გუშინ მისწერა ქალაქის გამგეობას, საგუბერნიო ხაზინაში შეიტანოს ის 400 მან., რომელიც სახარჯოდ დასჭირდება კომისიას.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს **მოუთხოვია თავისს რწმუნებულისაგან**, წარსულ წლის ბოლოს ტფილისში მომხდარ სამეურნეო კრებების დადგენილებანი და ყველა ის მოხსენება, რომელიც ამ კრებებზე იყო წაკითხული, ყველა ესენი უთუოდ წარმოგვიდგინეთო. ამ კრებებზე სჯა-ბაასი მეღვინეობისა, მერძეობისა და სხვ. შესახებ იყო და საყურადღებო მოხსენებებიც იყო წაკითხული.

◆ ბორჩალოს მაზრის 14 სოფელში საშინლად მძვინვარებს თურმე ამ ჟამად **საქონლის ჭირი**. ბევრს ჭირმა სრულიად გამოაცალა ხელიდან საქონელი. რადგანაც შესაძლებელია ამ მაზრიდან ჭირი სხვა ადგილებსაც მოედვას, ტფილისის საგუბერნიო სავეთილო ინსპექტორმა ტფილისის მაზრის უფროს სთხოვა საჭირო საშუალებანი იხმაროს, რომ ბორჩალოდან ჭირი ტფილისის მაზრაში არ გადავიდეს. ინსპექტორი ავალებს მაზრის უფროსს შემდეგი საშუალებანი იქმნეს მიღებული: 1) აეკრძალოს სრულიად მცხოვრებთ ბორჩალოს მაზრიდან საქონლის გადმორეკა, თუ ბეითლებისაგან ნებართვა არ ექნებათ; 2) პოლიციელნი დააყენონ დროებით ბორჩალოსა და ტფილისის მაზრის იმ საზღვრებზე, სადაც საქონელს ატარებენ; 3) გამოეცხადოს ტფილისის მაზრის მცხოვრებთ, რომ თავიანთ სოფლებსა და ახლო-მახლო ადგილებში საქონლის გარეშე მომდენთ საქონელი ერთს წუთსაც არ გააჩერებინონ; 4) გამოეცხადოთ ტფილისისავე მაზრის მცხოვრებთ, რომ ვისაც საბალახოდ საქონელი ჰყავდა გარეკილი, შინ დაბრუნების დროს ერთად არ მოირეკონ, არამედ 10 დღემდე შეაჩერონ დანიშნულ ადგილზე შესამოწმებლად; 5) დაევალოს მაზრის პოლიციო დარაჯებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ ბორჩალოს მაზრიდან საქონელი არავინ გადმორეკოს; 6) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყარაიაზის საბოქაულოს, სადაც უნდა გასინჯოს საძოვრად მყოფი საქონელი უკან დაბრუნების დროს და 7) სთხოვონ, თუ საჭირო იქნება, ადმინისტრაციას ანუ ბეითლებს, აღნიშნულ საშუალებათა განსახორციელებლად დახმარება. მაზრის უფროსმა, მიწერილების თანახმად, 2 სექტემბერს საჭირო განკარგულება მოახდინა.

◆ ქალაქის გამგეობისაგან საბჭოს მდივანს ჭრელაშვილს დავალებული ჰქონდა **შეედგინა სია იმ უმთავრეს გადაწყვეტილებათა**, რომელიც ტფილისის საბჭოს დღიდან ქალაქის თვით მმართველობის შემოღებისა (1875) დღემდე დაუდგენია. ბ-ნ ჭრელაშვილს ეს დავალება კიდეც შეუსრულებია.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული ცირკულიარი გამოუგზავნა ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას. ამ ცირკულიარში შინაგან საქმეთა სამინისტრო სწერს გუბერნატორს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ **ქალაქის გეგმის** შედგენის დროს ყველაფერს წვრილმანსო.

◆ ფინანსთა მინისტრის ვიტტეს თავმჯდომარეობით პეტერბურგში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა განსაკუთრებულ ღონისძიებათა შემუშავება რუსეთის **სოფლის ვაჭრობის** მოსაწესრიგებლად და განსავითარებლად. კომისიას განსახილველად წარედგინა ამ საგნის შესახებ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული მოხსენება. ვიდრე მოხსენებას განიხილავდნენ, ბ-ნ ვიტტეს საჭიროდ უცვნია აღნიშნულ მოხსენების შესახებ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მოსაზრების მოსმენა. ამიტომ, მინისტრის ბრძანებით, მოხსენების 10 ცალი გამოუგზავნიათ, სხვათა შორის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვისაც. საზოგადოების საბჭომ უნდა განიხილოს ეს მოხსენება და გაუგზავნოს თავისი მოსაზრება.

◆ 31 აგვისტოს სიღნაღის მაზრის, სოფელ დამბალოს თათრებს ნავთლუხიდან წაუსხამთ მოხელე მანუჩარაშვილის 8 სული და კოშკელაშვილის 12 სული საქონელი. საქონლის მწყემს ყარამან მათიაშვილს მალე გაუგია ქურდობა და უკან დასდევნებია საქონლის წასართმევად. მას აქეთ აღარსად სჩანან არც საქონელი და არც მწყემსი მათიაშვილი. ეჭვი აქვთ, რომ ავაზაკებმა მოჰკლეს მწყემსი. საქონლის პატრონებმა ეს ამბავი აუწყეს 2 სექტემბერს ტფილისის მაზრის უფროსს, რომელმაც განკარგულება მოახდინა ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად და დაკარგულ მათიაშვილისა და საქონლის საპოვნელად.

◆ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, შეგვატყობინეთ, რა პირობები გაქვთ მაწანწალა ძაღლების მჭერალ მოიჯარადრესთან და რა მდგომარეობაშია ძაღლების თავშესაფარიო.

◆ ტფილისის ნიკოლოზის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან დაარსებულ საკვირაო სკოლაში მეცადინეობა დაიწყება კვირას, 8 სექტემბერს. ჯერ-ჯერობით მიღებულია 34 კაცი. სწავლა იქმნება კვირაობით და შაბათობით: კვირაობით—12-დან საღამოს 5 საათამდე და შაბათობით—საღამოს 7-დან 9 საათამდე.

◆ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 14 სექტემბრამდე ტფილისის საბაჟო დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაყიდულა 30.716 მან. 58 კაპ. ნივთები და ამავე ხნის განმავლობაში გაუცია დარბაზს 30,716 მან. 58 კ.

◆ გუშინ გვქონდა დაბეჭდილი, რომ დავითაშვილმა ოსიტაშვილი მოჰკლა და გაიქცაო. დავითაშვილი თურმე მეტად მთვრალი ყოფილა, ოსიტაშვილს რომ ჰკლავდა. მოუკლავს და იქიდან მტკვრის ნაპირას წასულა. აქ ერთ ადგილას სასუქის გროვა ყოფილა, ზედ დაწოლილა და დაძინებია. ვიღაც გამვლელს დაუნახავს, პოლიციელისათვის უცნობებია და დაუჭერიათ. დავითაშვილი გამოტეხილა, ოსიტაშვილი მე მოვკალიო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიიღო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნ ზავადსკისაგან დეპეშა, რომლითაც ის აცნობებს გამგეობას, თქვენი შუამდგომლობა ქუთაისში მეორე საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ სამინისტროს წარედგინაო.

◆ აფთიაქის მოსათავსებლად ქალაქის შენობის გადაკეთებას არა ეშველა-რა. გამგეობამ გადასწყვიტა, ამ საქმისათვის აღარ ისესხოს ფული და ისევ ქალაქის საშუალებით გააკეთოს. აფთიაქის გადმოუტანლობით ქალაქს, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ყოველ დღეს 12—15 მანეთის ზარალი აქვს.

◆ ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „კოლხიდას“ საქმე კარგად მიდის: ამ დღეებში ამხანაგობის გამგეობამ სულ გაჰყიდა, რაც პარკი ჰქონდა, ძველიც და ახალიც: სამოცი ფუთი ძველი პარკი გაჰყიდა 50 მანეთად ფუთი, ახალი 500 ფუთამდე—52 მანეთამდის დარჩება. ახალმა გამგეობამ მხნედ მოჰკიდა საქმეს ხელი და შრომა არ დაჰზოგა.

◆ სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის ახალი წევრი გ. აბულაძე 29 აგვისტოდან შეუდგა თავისს მოვალეობის ასრულებას.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

1.

როგორ ანაწილებს თავად-აზნაურობა ბანკის წმინდა მოგებას? აი ეს არის დღევანდელ დღის ინტერესი და სალაპარაკო საგანი ტფილისში.

ეს ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ წელს პირველად ხვდა თავად-აზნაურთა კრებას ამ საქმის გადაწყვეტა. წინად ბანკის გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ადგენდა პროექტს და ამტკიცებინებდა ბანკის წევრთა საზოგადო კრებას; ამიერიდან კი პროექტი უნდა შეადგინოს მარშლებისა და დეპუტატების საბჭომ და დაამტკიცოს თავად-აზნაურთა კრებამ.

წრევანდელ მოგების განაწილების პროექტი კიდეც დამზადდა და გამოცხადდა (იხ. „ცნ. ფ.“ 1911 №), ასე რომ საზოგადოებას შეძლება აქვს შეადაროს წინანდელი და ახლანდელი განაწილება. ჩვენც შევადარეთ და ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ ამის შესახებ.

უნდა აღვიაროთ, რომ პირველი დებიუტი ურიგო არ არის; კიდევ მეტი: არც მოველოდით ასეთ განაწილებას. ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია, განაწილების საქმის პრინციპზე, დედა-აზრზე და არა დეტალებზე. ამას მეტი უნდა მისცემოდა, თუ იმას ნაკლები,—ეს თავი და თავი საქმე არ არის: თუ ამ მხრივ მოუვიდა თავად-აზნაურობას შეცდომა, შემდეგში ადვილად გასწორდება. საქმე პრინციპია, დედა-აზრი, რომლითაც უხელმძღვანია განმანაწილებელს.

ამ მხრივ-კი წრევანდელი განაწილება საყურადღებო და საგულისხმიეროა. თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ არ უსარგებლნიათ თავის უპირატესობით და განაწილების საქმეში წოდებრივი პრინციპი არ შეუტანიათ. მაგალითად, 2000 მანეთი სასოფლო სკოლების დასახმარებლად გადუდვიათ, ცოტაოდენი მოსწავლეთა შემწეობისათვის გადადებულიდანაც ერგებათ არა თავად-აზნაურთ და სხვა. ეს წინად არ ყოფილა. თუ არ ჩავთვლით წინამძღვარიანთ კარის სკოლის დახმარებას, სადაც ყველა წოდების ბავშვები სწავლობენ, ბანკი სასოფლო სკოლებს არ ეხმარებოდა.

მართალია, ბანკის წესდებაში ნათქვამია, რომ წმინდა მოგება უნდა ხმარდებოდეს მიწათ-მფლობელისა და **მიწათ-მოქმედის** საჭიროებათაო, მაგრამ ფაქტიურს განმანაწილებელს ყოველთვის შეუძლია სხვისი ინტერესი დასჩრდილოს და თვისი წინ წამოაყენოს.

როგორც სჩანს, ტფილისის თავად-აზნაურობა არ აპირებს ამ უპირატესობით და ფაქტიურ ნებით სარგებლობას და ამიტომაც მისი პროექტი მოსაწონია. თავად-აზნაურობა ჩვენს დროში კასტა ვერ გახდება: იმას არ შეუძლია ერის დანარჩენ ნაწილს გამოეყოს; თუ ჰსურს რამედ იყოს, საზოგადო ინტერესების დამცველი უნდა გახდეს; რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლის პირობებს, იმდენად მთელის ერის მეგობარი იქნება და vice-verso.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ჭეშმარიტება მალე შეიგნოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ და შეგნებულად უარჰყოს ისეთი მოქმედება, ისეთი მოღვაწეობა, რომელიც პირ-იქით, ხელს უშლის საქვეყნო საქმესა და საერთო კეთილდღეობას!

ჩვენა ვსთქვით, რომ ახლად გამოქვეყნებული განაწილება პრინციპიალურად მოსაწონია, მაგრამ გადაჭარბება არაფრისა არვარგა.

თავად-აზნაურობამ სასოფლო სკოლებს 2 ათასი მანეთი შესწირა. ზოგიერთი ჩვენი დარბაისელნი სიამოვნებით სარგებლობენ აღნიშნულ ფაქტითა და ერთხელ კიდევ გვეუბნებიან: „ჩვენი თავად-აზნაურობა არასოდეს არ არჩევდა გლეხკაცობისა და თავის ინტერესებს ერთმანეთისაგანაო“ *). არც ასეთი მიდგომა ვარგა: ამგვარი იდეალიზაცია არა თუ არ წასწევს წინ წოდებათა ურთიერთობის განხილვა-გაგების საქმეს, პირ-იქით საკითხს დააბნელებს და საზოგადოებრივ თვითცნობიერების საქმეს ცუდ სამსახურს გაუწევს.

მეთვალყურე

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში თითქმის ყველგან დასრულდა ეგზამენები. პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტში თხოვნა შეიტანა 950 კაცმა, მიიღეს 262 კაცი; გზათა ინსტიტუტში—990 კაცმა, მიიღეს 100 კაცი.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს ცვლილების მოხდენა ორს უმაღლესს სასწავლებელში: სამთო ინსტიტუტსა და ეკატერინოსლავის უმაღლესს სამთო სასწავლებელში. აზრადა აქვთ ახალი განყოფილებანი დააარსონ.

◆ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ განიზრახა საქალაქო სკოლების რეფორმა. ამ საქმის განხილვას საერო განათლების სამინისტროში მალე შეუდგებიან.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამთავრა პროექტი ვაჭართა, მეშჩანთა და ხელოსანთა წოდებების რეფორმისა. პროექტი ამ ზამთარს სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ მთავრობამ არ შეიწყნარა ზოგიერთთა ერობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კვირა-უქმე დღეებში ბაზრებსა, იარმუკებსა და სავაჭრო ადგილებში დაიკეტოს ხოლმე არყის სახაზინო დუქნები.

ტფილისის ქალაქის საბჭო

2 თვე ნახევრის „დასვენების“ შემდეგ ტფილისის საბჭოს პირველი კრება მოხდა ორშაბათს, 2 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე მ. ს. შისტაკოვის თავმჯდომარეობით. საბჭოს სხდომას 29 ხმოსნამდე დაესწრო. საქალაქო დებულების თანახმად, მართლმადიდებელ ხმოსნებს ცალკე სხდომა ჰქონდათ სიონის ტაძრის სტაროსტის ამოსარჩევად. ამორჩეულ იქმნა ნაფ. ვექილი ლ. ს. სტალინსკი.

ქალაქის მოურავის მოადგილემ აცნობა საბჭოს გამგეობის დადგენილება გარდაცვალებულ კ. პ. იანოვსკის ხსოვნის პატივისცემის და იმის კუბოს გვირგვინით შემკობის შესახებ. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა იანოვსკის ხსოვნას.

გამგეობის ასეთ დადგენილების გამო ხმ. თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: წინააღმდეგი არა ვარ გამგეობის დადგენილებისა, მხოლოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ გამგეობა თვითნებურად მოიქცა, ქალაქის წარმომადგენლობა მიისაკუთრა და სამძიმარი თუ სხვა გვარი პატივისცემა ქალაქის სახელით უძღვნა მაშინ, როდესაც ეს უფლება საბჭოს ეკუთვნის. გამგეობამ რად შებღალა ჩვენი უფლება და რატომ საბჭოს სხდომა არ მოიწვია ნება-რთვის ასაღებად? თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის საყვედურს კვერი დაუკრა საბჭომაც. თავმჯდომარემ სთქვა, გამგეობა სახეში იქონიებს ამ გარემოებას და შემდეგ აღარ გაიმეორებს ასეთს საქმესაო.

შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს გამგეობის დადგენილება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. შეცვლილი ნიხრი ასეთია: პირველ ხარისხის ხორცი—11 კაპ., მეორე ხარისხისა—8 კაპ. და მესამე ხარისხისა—6 კაპ. ამ დადგენილების გამო აღძრულმა კამათმა

---

*) იხ. „ივერიის“ კვირის №.

თითქმის ერთი საათი გასტანა. ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა შეუცვლელად ახალი ნიხრი.

მეტად მწვავე კამათი გამოიწვია ხმოსანთა და თავმჯდომარეს—შესტაკოვის—შორის გამგეობის დადგენილებამ, რომლითაც, გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტი უნდა გადაკეთდეს საბჭოს აღმასრულებელ კომისიად. ამ ორის თვის წინად ქალაქის მოურავის მოადგილეს მოუვიდა მოწერილობა გუბერნატორისაგან, რომელიც ავალებდა გამგეობას სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაკეთებას. გამგეობას გარდაუწყვეტია, მოხსენდეს საბჭოს გუბერნატორის მოწერილობა და ეუწყოს, რომ, საქალაქო დებულობის თანახმად, კომიტეტი კომისიად ეხლავე უნდა გადაკეთდესო. რაც შეეხება სახელოსნო სასწავლებლის წესდებას, გამგეობას, მიუღია რა სახეში ის გარემოება, რომ პროექტი ახალის წესდებისა უკვე შემუშავებულია და მალე უნდა წარედგინოს საბჭოს განსახილველად, გარდაუწყვეტია ახალის წესდების დამტკიცებამდე სასწავლებლის საქმეების მართვის დროს იხელმძღვანელოს ძველის წესდებით იმ ცვლილებით, რომელსაც მოითხოვს 1892 წლის საქალაქო დებულების მე-105 მუხლი და მე-103 მუხლის შენიშვნა. ამ დადგენილების თანახმად, ქალაქის მოურავის მოადგილეს შესტაკოვს უცნობებია გუბერნატორისათვის რომ თქვენი მოწერილობა სისრულეში იქნება მოყვანილი პირველ სექტემბრიდან, რადგანაც საბჭოს სხდომა მანამდე არ შესდგებაო. გუბერნატორს უცნობებია, ეხლავე განკარგულება მოახდინეთ, რომ კომიტეტი კომისიად გადაკეთდესო.

ხმ. თ-ვ. ალ. მიხ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: გამგეობა ამ საქმეს ძალიან ადვილად მოჰკიდებია. როგორც ეტყობა, არ გამოუძებნია და არ გამოურკვევია მთელის საქმის ვითარება. რადგანაც ეს საქმე დიდად საყურადღებო საგნად მიმაჩნია, მინდა ჩემი მოსაზრება გამოვსთქვა, • მაგრამ მანამდე ვსთხოვ თავმჯდომარეს ბ-ნს შესტაკოვს, წაიკითხოს ის მოხსენებანი, რომელიც გაეგზავნა გუბერნატორს 30 მარტს და 10 მაისს და რომელთა შემდეგაც გუბერნატორი სწერს გამგეობას კომიტეტის კომისიად გადაკეთების შესახებ.

მოურ. მოად. შესტაკოვი. ეგ არ შეიძლება: იმ ქაღალდების შინაარსს ასე საჯაროდ ვერ წავიკითხავთ. ესეც არ იყოს, საქმე უამისოდაც იმდენად მარტივია, რომ უკვე წაკითხულ ცნობებით შეგვიძლიან ვიხელმძღვანელოთ.

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ჩემის აზრით, ეს საქმე დიდ-მნიშვნელოვანია და ამის ჩაფუჩუჩება არ შეიძლება. სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტი 20 წელიწადია არსებობს და ეხლა გვიბრძანებენ იმის გადაკეთებას. ეს მარტო სახელის შეცვლა კი არა, მთელის დაწესებულების მოშლა და ახალის დაარსებაა. სწორედ ამიტომ გამგეობა ვალდებული იყო, ამ საქმის მასალა დაებეჭდა და წინ-და-წინ გასაცნობად ხმოსნებისათვის დაეგზავნა. მეორე: ამდენი ხანია საბჭოში ვარ და პირველად ვხედავ, რომ მოურავი ცნობებს არ გვაძლევს და რაღაც საიდუმლო ყუთში ჰკეტავს. ქალაქის გამგეობისა და საბჭოს შორის არავითარი საიდუმლოება არ უნდა იყოს. მე პროტესტს ვაცხადებ შესტაკოვის ასეთ უცნაურს მოქმედების გამო და უარს ვაცხადებ საგანზე ვსთქვა რამე, ვიდრე მოურავის მოადგილე გუბერნატორთან თვის მიერ გაგზავნილ ქაღალდების შინაარსს არ გაგვაცნობს; თუ ეს დასამალი იყო, გუბერნატორი უკანასკნელ მოწერილობაში არ უჩვენებდა ცხადად შესტაკოვისაგან მიღებულ ქაღალდებზე.

დიდი ხმაურობაა. ხმოსნები გაიძახოდნენ: „მართალია, მართალი.“

მ. მ. შესტაკოვი. კიდევ ვიმეორებ, რომ იმ ქაღალდებს აქ ვერ გაგაცნობთ; თუ ინებებთ, მობძანდით ჩემს კაბინეტში და გაიცანით.

ხმები: ჩვენ სხვა კაბინეტები არ ვიცით! საბჭოს კაბინეტი ეს არის! აქ წაგვიკითხეთ ქაღალდები!..

შესტაკოვის ასეთმა განცხადებამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია ხმოსნებში.

ხმ. ა. ს. ბაბოვი დიდხანს ლაპარაკობს ამ ამ საქმის შესახებ და დასასრულ ამბობს: ეს რაებს მოვესწარით? რომელ კაბინეტებში გვიწვევენ ქაღალდების გასაცნობად. შევუერთდები თავ. არღუთინსკის პროტესტს და ვითხოვ, გადაიდვას ეს საქმე, რომ შემდეგ სხდომაზე საქმის მთელი გარემოება მოეხსენდეს საბჭოს.

შესტაკოვმა შემდეგი საკითხი დააყენა: რადგანაც აღნიშნულ საგნის გამო საბჭომ ცნობები მოითხოვა, ამიტომ დაევალოს გამგეობას შემდეგის სხდომისათვის წარუდგინოს ვრცლად საქმის გარემოება. როდესაც შესტაკოვი შეეკითხა საბჭოს, ვინც თანახმაა ამ წინადადებისა, ზეზედ ადექითო, თანხმობა არ განაცხადა არც ერთმა ხმოსანმა და არც ერთმა გამგეობის წევრმა. მაშინ თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა სთქვა, საბჭოს დადგენილების რედაქცია თვით საბჭომ უნდა შეადგინოს, ამიტომ ნება მომეცით წარმოგიდგინოთ წინადადება, რომელზედაც საბჭო დღეს უნდა შეჩერდესო. შესტაკოვმა ნება არ მისცა. ამის ნაცვლად იგი ადგა, ჯაჭვი მოიხსნა და კრება დახურა. შესტაკოვის ასეთმა მოქმედებამ ძალიან შეაწუხა ხმოსანნი. ზოგმა მიაძახა—ჩვენ თითონ მივდივართ, რადგანაც ასე უპატივცემულოდ ექცევით საბჭოს და როგორც გსურთ, ისე აკეთებთ საქმესაო.

კრება საღამოს 10 საათსა და 40 წუთს დაიშალა.

წერილი აბაშიდან

„ენკენობის“ ბაზრობა.—დაბის სიბინძურე.—სიმინდის სიძვირე.—წლევანდელი მოსავალი

1 სექტემბრიდან აქ უკვე დაიწყო ეგრედ წოდებული „ენკენობის“ ბაზრობა, რომელიც გასტანს ათ ამ თვემდე. ამ ბაზრობას, როგორც ყოველთვის, წლეულსაც დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა როგორც მახლობელ სოფლებ-დაბებიდან, ისე საზოგადოდ მთელ სამეგრელოდან. სასიამოვნო სანახავია აბაშის მიდამოები, ხალხით გაჭედილი. ბაზრობაზე მუსიკა, დაფა-ზურნა და სხვა გასართობებიც გვეწვევიან ხოლმე. მოსულ ვაჭართა შორის უმრავლესობას მეგრელები შეადგენენ (სენაკ-ზუგდიდ-მარტვილ-ცაიშიდან), მცირე ნაწილს ებრაელები. ნამეტნავად თავს გვაბეზრებენ ბ-ნნი ვაჭარნი. ყოველის მხრიდან ერთი და იგივე გესმით: ბღაღოჩინო, დეკანოზო!.. კნეინა, კნიაჟნა!. ნაჩალნიკო!... მოზოჯი, სქანი ჭირიმე, სქანი გოდუა ვირო!... (მობრძანდი, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე!..)—მიირთვი, მუთ გონებუდასინ; იროველი იაფას რჯულიში მარდუმე!.. (მიირთვი რაც გნებავს; ყველაფერი იაფად რჯულის მადლმა!..) ამ ნაირ მუდარას უფრო ებრაელნი არიან მიჩვეულნი. იტყუებენ სოფლის საბრალო ხალხს და დამპალ საქონელს ხელში აჩეჩებენ. მთელი დღე არეულობაა, მაგრამ შეიმლება თუ არა, როდესაც მომეტებული ნაწილი ხალხისა, მთელის დღის წანწალით მოქანცული, სოფლად იფანტება, დაბა სხვა სურათს წარმოადგენს: წივილ-კივილის ნაცვლად საყაჭრო კარვებიდან მოისმის დაფა-ზურნის გამუდმებული ბრახუნი და მეგრელ მეცხვარეთა (ყველის გასასყიდად ჩამოდიან) ათას ჭანგზე მომართულ სალამურის კვნესა, დრო-გამოშვებით ძმაბიჭების სიმღერებიც გიტკბობთ სმენას. აქაურ ბაზრობაში უფრო მომეტებულად სიდდება ცხენი და ძროხა-ხარი; აგრეთვე ჭილობები, დაწნული კალათები და სხვა.

ჩვენი დაბისთანა უშნო და ბინძური დაბა მეორე არ მოიძებნება დასავლეთ საქართველოში. ბუნებას თითქოს უოველგვარი სიბინძურე ჩვენის დაბისთვის ერგუნებინოს წილად: ავდრის დროსგაუვალი ტლაპო-ტალახებია, ტაროსის დროს კი საშინელი კორიანტელი. მოვა თუ არა ჩვეულებრივი ჟუჟუნა წვიმა, ისეთი ტლაპო-ტალახები და წუმპეები ადგება ქუჩებში, რომ ფეხით გასვლა რკინის გზის სადგურიდან დუქნებამდი ძალზე გასაჭირია (უნდა შევნიშნოთ, რომ რკინის გზის სადგურიდან დუქნებამდი სულ-ბევრი 7—9 საჟენი თუ იქნება)!. იქ, სადაც რკინის გზის მოსამსახურეთათვის ახლად აგებული სახლია, იმის გვერდით ისეთი ტალახის თრმოედგება, რომ ფეხით გასვლა ყოვლად შეუძლებელია. ამ ექვსი-შვიდის წლის წინად ყოფილმა ბოქაულმა აბაშიძემ იკისრა მდინარე აბაშიდან, რომელიც ოთხის ვერსის მანძილზეა დაბიდან, შოსე გამოყვანა. წყალს უნდა გაევლო აბაშის საბოქაულოს ყველა სოფელში და შიგ შუა გულ დაბაზე. მაგრამ ცუდად გამოკვლევისა გამო წყალი ვერ გაიყვანეს და საქმე ჩაიშალა. მაშინდელ თხრილების ოდრო-ჩოდროები ახლაც არის დარჩენილი. საწყალობა, დაბის „მამებმა“ ყურადღება მიაქციონ დაბის ამისთანა „დაავადებულ“ მდგომარეობას, თორემ სულ ძილი, ძილი....

ჩვენში სიმინდის დიდი სიძვირეა: ფუთი 80—90 კაპ. ფასობს. ზოგს ფული არა აქვს, საზრდო იყიდოს, ზოგს აქვს და სიმინდი ვერ უშოვია. რაც შეეხება წლევანდელ მოსავალს, ჭერ-ჭერობით გვარიანი პირი უჩანს, თუ ადმოსავლეთის სასტიკმა ქარმა არ გაანადგურა.

მუსა

დაბა-სოფლები

ლანჩხუთი (გურია). პირველ სექტემბერს ადგილობრივმა ბლაღ. მღ. ეპიფანე ჩხაიძემ აკურთხა ახლად დაარსებული საქალაქო სასწავლებელი. კურთხევას დაესწრო მაზრის უფროსი დაზარენკო და სახალხო სკოლების ინსპექტორი მაჭავარიანი. ამ დღისათვის საგანგებოდ თავი მოიყარა ლანჩხუთის ახლო მდებარე საზოგადოებიდან დიდ-ძალმა ხალხმა. ერთი სიტყვით, ეს დღე არა მარტო ლანჩხუთისთვის, მთელის მხარისათვის სადღესასწაულო დღე იყო. კურთხევის შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ბლაღ.-მღვ. ეპიფ. ჩხაიძემ, ინსპექტორმა მაჭავარიანმა, მაზრის უფროსმა და სხვ. სკოლის საპატიო მზრუნველმა შ. ცინცაძემ იქვე გადასცა სკოლის ინსპექტორს ერმანს თავის მხრივ სკოლის შესაწევარი ასი მანეთი; მანვე შესწირა სკოლას სამწერლო სტოლი. მთელმა საზოგადოებამ ასეთის შეწირულებისათვის მადლობა უძღვნა ბ-ნ ცინცაძეს. შემდეგ საპატიო სტუმრები და სკოლის მასწავლებლები მიწვეულ იქმნენ სადილად საპატიო მზრუნველის შ. ცინცაძის სახლში. სადილზე მრავალი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა. გაუგზავნეს მილოცვის დეპეშა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

ქ ე დ ა ბ ე გ ი

(განჯის მაზრა)

ჩარექის მონასტერი.—არქიმანდრიტ ასტვაცატურის მოკვლა.—შიშიანობა განჯის გუბერნიაში.

ქედაბეგის სპილენძის ქარხნიდან 10 ვერსის მანძილზე, მდინ. შამქორის მარცხენა ნაპირას, მიყრუებულ ხეობაში, მთის ძირად მდებარეობს უძველესი ჩარექის მონასტერი. ამ მონასტერს გარს არტყია მაგარი გალავანი, წინ ვაკეზე, ზედ წყლის პირად გრძლად გადაჭიმულია მშვენიერი ბაღი და ბოსტანი. მდინარე შამქორი სავსეა კალმახით,—სხვა თევზი არ მოიპოვება. სენაკების სიმრავლე, გრძელი პურის საჭმელი ოთახი, ბოსლები, მარნები და სხვა შენობანი, რომელთათვისაც სტიქიონის ძალას დაუღვია თავისი ბეჭედი, ჰმოწმობენ, რომ ჩარექის მონასტერი ოდესმე აყვავებულს მდგომარეობაში ყოფილა. ამბობენ, უწინ ასი ბერი სცხოვრობდაო ამ მონასტერში, შედეგში კი მათ რიცხვს თან-და თან უკლია და ბოლოს ეს ამოდენა ალაგ-მამული ერთი ბერის სამფლობელოდ გადაქცეულა.

მე არ ვკისრულობ მონასტრის დღევანდელ მოძრავ და უძრავ ქონების დაფასებას, ის კი ვიცი, რომ ბარები, ძროხები, ღორები, ფუტკარი ბევრი ჰყავს, მაგრამ ეს ქონება რა შესადარებელია 2,732 დესეტ. და 260 ოთხკუთხ საჟ. ტყესთან, რომელიც ამავე მონასტერს ეკუთვნის. ამ ტყესა ჰყავს ექვსი ყარაული. მთელის შემოსავლით სარგებლობდა მარტო ერთი სამოც-და-სამის წლის მოხუცი არქიმანდრიტი. ეჩმიაძინის სინოდმა ერთხელ გამოსცვალა არქიმანდრიტი, მაგრამ ახალმა წინამძღვარმა ვერ გაისაძლისა და სინოდი იძულებული შეიქმნა დაებრუნებინა ისევ ძველი წინამძღვარი, არქიმანდრიტი ასტვაცატური, რომელმაც დაჰყო აქ სრული 30 წელიწადი, თუმცა იმას არა ერთხელ გაუწევია მასპინძლობა ყაჩაღებისთვის (რას იზამდა?) და არა ერთხელ გაუძარცვავთ უკანასკნელთ მონასტერი.

რომ ჰნახო, მკითხველო, ეს ადგილი, იტყვი: ნეტავი როგორ სძლებდა აქ მ. ასტვაცატურიო? მოსვენებით როგორ იძინებდაო? სწორედ რკინის ხასიათი ჰქონიაო... მონასტერი დღეს ძალიან ურიგო მდგომარეობაშია: ყველაფერი მინგრეულ-მოუნგრეულია, გალავანი ერთ ალაგს მიწასთან გასწორებული, ალაყაფის კარები ჩამოგდებული, თვით მონასტერი გარღვეული და ერბო-ყველის მარნად გადაქცეულია... სომეხი იყო გინდ ქართველი, სულ ერთია: გწყინს, გული გტკივა, როდესაც ჰხედავ წმიდა ადგილს შეგინებულს... არ გვეკადრება მოვეპყრათ ესე გულ-ცივად ძველ ნაშთებს და ძეგლებს და მით უმეტეს არ გვეკადრება, როდესაც ამ ძეგლებს შემოსავალი კარგი აქვთ და ზედ-კი ერთ გროშსაც არ ვახმარებთ...

გაგონილი მქონდა ჩარექის მონასტრის სახელი, არ-კი მენახა, თუმცა ვიცნობდი მისს წინამძღვარს, მ. ასტვაცატურს. ერთი კვირის წინ მე და ექვსმა სომეხმა გადავწყვიტეთ, ამ თვის ოცში ვსტუმრებოდით მ. არხიმანდრიტს, რაიცა ვაცნობეთ მას. პირობა გვქონდა გავსულიყავით ქედაბეგიდან დილით ადრე, მაგრამ შეგვიგვიანდა. წინ ძალიან სახიფათო გზა გვედო; აი-აი წაუსხლტება პიტალო ქვაზე ცხენს ფეხი და ჩავგორდებით კლდიან ღრმა ხევში. ასეც დაემართა ერთს ჩვენ ამხანაგს უკან დაბრუნების დროს; საბედნიეროდ, ორივენი, ცხენიც და კაციც, გადარჩნენ სიკვდილს: იმ ალაგს კლდე დაბალი იყო.

დავუახლოვდით მონასტერს,—მანძილს და დროს ვერ დავასახელებ, ვერიდები შეცდომას,—უკანასკნელი მთა-ღა დაგვრჩა ჩასავალი. ვხედავთ, მონასტრის საქონლის მენახირე-თათარი აჩქარებით მოერეკება ზევით სხვილფეხ საქონელს. ჩვენ ვკითხეთ—„შინ არის შენი ალამეთქი?“. „შინ არისო,—გვიპასუხა,—იმასთან სხვა სტუმრებიც არიანო; თოფის სროლის ხმა ოთხჯერ გავიგონეო“. ჩვენ იმის სიტყვები უმნიშვნელოდ დავტოვეთ და არხეინად გავუდექით გზას. დამავიწყდა მეთქვა ზევით, რომ სამს ჩვენს ამხანაგს კარგი ცხენები ჰყავნდათ, იგინი ჩვენზე წინ მიდიოდნენ, და სწორედ ამისთვის, როგორც მერე შევიტყვეთ ყველამ, ერთ მათგანს, სულ წინ მიმავალს, თოფის სროლის ხმა სამჯერ გაეგონა: ორი ზედი-ზედ, ერთიც დრო გამოშვებით; მის შემდეგ მიმავალს კი მარტო ერთხელ გაეგონა თოფის ხმა. როდესაც ჩვენ, უკან ჩამორჩომილნი, მივუახლოვდით გალავანს, იმ დროს ალაყაფის კარებიდან გამოვიდნენ დაწინაურებულნი, მათ სახეზე ნაცრის ფერი ედვათ და მუნჯურად გვანიშნებდნენ, უკან დავბრუნებულიყავით.

შევიკრიბენით ყველანი ხეების ქვეშ და აქ მოვისმინეთ თავს-ზარ დამცემი ამბავი: „არქიმანდრიტი და იმისი მოსამსახურე დახოცილები არიანო, პირველს ტანისამოსზე ბოლი ასდისო“.—გვითხრეს მათ. ნახევარის საათით ადრე რომ გვევლო, ან ეს ცოდვა არ დატრიალდებოდა და ან, შეიძლება, უბედურებას უბედურება მოჰმატებოდა. გავმართეთ რჩევა: შევსულიყავით მონასტერში, თუ უკან დავბრუნებულიყავით? თუმცა ზოგმა უკან დაბრუნება ამჯობინა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველანი შევედით გალავანში, უპირველესად კი თოფები დასცალეს ამხანაგებმა: შევატყოთ ავაზაკებს, რომ ჩვენცა გვაქვს იარაღი.

საშინელი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ხის ძირში, სწორე ადგილზე გულ-აღმა გაშხლართული, თვალებ გაჭყეტილი და პირგაღებული ეგდო უსულოდ მოსამსახურე. დერეფნის კუთხეში, ოთახის კარებთან, მობლუნძული, ცალ-ხელ მთლად სისხლში მოსვრილი, იწვა მარჯვენა მხარეზე მ. არქიმანდრიტი ასტვაცატური; საბრალოს თავი დახვრეტილი და ნახევარი ყბა მოგლეჯილი ჰქონდა ტყვიებისაგან. თავთან სისხლის რუვი იდგა, საყელოზე ბოლი ასდიოდა—ნიშანი, რომ ძალიან ახლოდან ესროლა თოფი ბოროტ-მოქმედს; ოთახების კარები და დერეფნის ბოძები დახვრეტილი იყო ტყვიებით, კარები ყველგან ღია იყო, ნივთები აქა-იქ ეყარა, ეტყობოდა, ავაზაკებს წაღება ვერ მოესწროთ. დერეფნის ბოძზე, ძალიან დაბლა, მიკრული იყო წვერიდან მოგლეჯილი პატარა ხორცი; ალბად, დაჩოქილი თუ ეხვეწებოდა ავაზაკებს არ მოეკლათ. ვერ ავწერ ყველაფერს; დღეს მეხუთე დღეა მას შემდეგ, რაც მე შევიქმენ იმის მოწმად, თუ რა საძაგლობის ჩადენა შესძლებია კაცს, და მაინც ნანახი თვალიდან ვერ მომიშორებია...

რა უნდა გვექნა ამ მივარდნილ ადგილში? დავრჩენილვიყავით, საშიში იყო. თუმცა შვიდნი ვიყავით, მაგრამ თოფი მარტო სამსა ჰქონდა (ერთ მათგანს სანადირო). ჰკმაროდა ერთი კაცი გადმომდგარიყო კლდეზე და თითოდ-თითოდ ამოვეწყვიტეთ. მიგვეტოვებინა მიცვალებულები იმ უდაბნოში

ნადირისათვის, მიგვეცა ავაზაკებისთვის უკან დაბრუნების და მონასტრის გაძარცვის საშუალება, ჩვენის მხრით უსინიდისობა იქნებოდა. ამ უკანასკნელ მოსაზრებით შეაჩერა-ერთმა ჩვენგანმა დანარჩენები, თორემ ყველას უკან დაბრუნება უნდოდა. ვახსენეთ ღმერთი და გადავწყვიტეთ დარჩენა, თუმცა ძალიან გვეშინოდა. საათის ოთხზე ქედაბეგში ბოქაულთან გავგზავნეთ კაცი, ჩვენ-კი შევუდექით შენობების თვალიერებას,—შესაძლო იყო ავაზაკები სადმე მიმალულნი ყოფილიყვნენ. ცოტა ხანს უკან მენახირე მოვიდა, მაგრამ არ დადგა, გაიქცა. შუაღამისას ალარაფრისა გვეშინოდა, რადგანაც ხალხი ბევრი შეიკრიბა. მეორე დღეს მ. არხიმანდრიტის ქაღალდებში აღმოჩნდა რვეული, სადაც, სხვათა შორის, სწერია იმათი გვარი და სახელი (თათრები არიან), ვისგანაც ის მოელოდა მოკვლას. „თუ მომკლეს, ჩემი სიკვდილი ამ ორის კაცის მეტს არავის დაჰბრალდესო“,—ამით ათავებს მ. არხიმანდრიტი თავის წერილს. საყურადღებოა, რომ ერთი იმათგანი, რომელიც დასახელებულია წერილში, იმ ღამეს მოჰყვა ბოქაულს, კარგად ივახშმა ჩვენთან და მეორე დღეს წავიდა. ვინ იცის, შეიძლება მ. ასტვაცატური სცდებოდეს. ხომ მოგეხსენებათ: „მომპარავმა ერთი ცოდვა ჩაიდინა, დამკარგავმა—ათასიო“.

საშინელი ცუდი დრო დადგა განჯის გუბერნიაში. ყველა ერთ-ხმად გაიძახის: „ეს რა ამბავია, თქვენი ჭირიმე, უწინ ისეთი შიშიანობა არა ყოფილაო“. ჩვენ თითონ, ამ სტრიქონების დამწერი, ათი წელიწადია ვსცხოვრობთ განჯის გუბერნიაში და არ გაგვიგონია ის, რაც გვესმის ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში, განსაკუთრებით-კი წელს. ყოველ ცისმარე დღეს კაცის კვლის და ქურდობის ხმა გაისმის. სახლში მოსვენებით ვეღარავის დაუძინია, შორს მარტოკა და უიარაღო ვერავინ წასულა. ასე გასინჯეთ, მარტო ქედაბეგის პატარა საბოქაულოში იანვრიდან ორმოც-და-ორი დანაშაულობა ითვლება! ეს ოფიციალურად ცნობილია. ახლა რამდენი დამალულია. ახლა მთელს გუბერნიაში იანვრიდან მომხდარ დანაშაულობათა სტატისტიკური ცნობების გამოქვეყნება ყველას თავს ზარს დასცემს. რა არის ავაზაკთა გამრავლების მიზეზი?..

ილ. ჯაში

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

კურსკი. დათა სადგომში ხელმწიფე იმპერატორმა ჩამოიარა ავადმყოფთა ოთახები და გააბედნიერა გამოკითხვით; შემდეგ ბაღში გაბრძანდა, სადაც წარუდგნენ სადგომის გამგებელნი. აქედან ხელმწიფე ეკლესიაში მიბრძანდა, მერე სადგომის მზრუნველთან მიბრძანდა და აქ თავისი სახელი იმ წიგნში შეიტანა, რომელშიაც უმაღლესნი აღნიშნავენ ხოლმე თავიანთ სახელს და აქედან თავად-აზნაურთა საკრებულოსკენ წაბრძანდა. მისავალ კარებში ხელმწიფე იმპერატორს მიეგებნენ გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლნი. მისი უდიდებულესობა შებრძანდა დიდს დარბაზში, სადაც ფარდა გადაფარებული იყო ძეგლი ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობაზედ აგებული და ამ დღესათვის გამზადებული გასახსნელად. შტალმეისტერმა დურნოვომ პურ-მარილი მიართვა ხელმწიფე იმპერატორს. ყოვლად სამღვდელომ ლავრენტიმ და სამღვდელოებამ ღვთის მშობლის ხატის წინაშე გადაიხადეს ღვთის მსახურება, რომლის დროს წარმოსთქვეს „მრავალ ჟამიერ“ მეფის სახლობის სადღეგრძელოდ და „საუკუნო განსვენება“ იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. შემდეგ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ფარდა მოჰხსნა იმპერატორის ძეგლს და სამადლობელი ადრესი წაუკითხა ხელმწიფე იმპერატორს. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა პანსიონ-თავშესაფარის შენობა, სადაც სასტუმრო დარბაზში ჩაი მიირთვა. მიწვეულნი იყვნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლების მეუღლენი. ხელმწიფეს გვერდით უსხდნენ ვიცე-გუბერნატორის მეუღლე და კნ. ბარიათინსკაია; ხელმწიფის პირდაპირ ისხდნენ ყოვლად—სამღვდელო ლავრენტი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები და მარშალთა მეუღლენი. ხელმწიფე მოწყალედ ესაუბრებოდა ყველას. მესამე საათზე ხელმწიფემ თავისი სახელი ჩასწერა პანსიონის სტუმართა წიგნში და შემდეგ გუბერნატორის სახლში წაბრძანდა. გუბერნატორის სახლის წინ შეკრებილი იყვნენ კურსკის გუბ. სოფლის მამასახლისები და საბავშო თავშესაფარის მოწაფე-ქალები. ხელმწიფის ბრძანებით, გუბერნატორის სახლის დარბაზში დააყენეს მამასახლისები და გლეხების წარმომადგენელნი ხარკოვისა, პოლტავისა, ჩერნიგოვისა, ორიოლისა და ვორონეჟის გუბერნიებისა; იქვე იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ობერ-ცერემონიმეისტერი, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და სხვა წარჩინებულნი გვამნი. ხელმწიფემ ჩაუარა მამასახლისებსა და გლეხებს და შემდეგ მიჰმართა მათ შემდეგის სამეფო სიტყვით: „გაზაფხულზე პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიების ზოგიერთ ადგილას გლეხებმა მეზობელ მემამულეთა სახლ-კარი აიკლეს. დამნაშავენი ღირსეულად იქნებიან დასჯილნი, ხოლო მთავრობა, დარწმუნებული ვარ, შესძლებს და მომავალში ასეთს უწესოებას თავიდან აგვაცილებს. მოგაგონებთ მიცვალებულის მამი ჩემის სიტყვებს, რომელნიც მან უთხრა მამასახლისებს მოსკოვში გვირგვინის კურთხევის დღეს; „გაუგონეთ თქვენს თავად-აზნაურთა წინამძღოლებს და ყურს ნუ დაუგდებთ ცრუ და უაზრო ხმებს: გახსოვდეთ, რომ სხვისი ყოფა-ცხოვრების მოტაცებით კი არ მდიდრდებიან, არამედ პატიოსანის შრომით, ხელმომჭირნეობით და ღვთის მცნებათა ასრულებით“. სიტყვა-სიტყვით გადაეცით ყოველივე, რაც გითხარით, თქვენს მეზობლებს, აგრეთვე ისიც, რომ მათ ნამდვილ საჭიროებათ მე მზრუნველობას არ მოვაკლებ“. ხელმწიფე დარბაზიდან გამობრძანდა; ხალხმა აღტაცებულის ყვირილით გააცილა; გლეხები იძახოდნენ: მზად ვართ ერთგულად და სიმართლით ვემსახუროთ თქვენს უდიდებულესობას. სამს საათზე ხელმწიფე იმპერატორი და მემკვიდრე სადგურ რიშკოვოზე წაბრძანდნენ.—ხელმწიფემ მიიღო ქალაქისაგან პურ-მარილი და მადლობა გამოუცხადა მცხოვრებთ კეთილ-გრძნობის გამოცხადებისათვის. 1-ლ სექტემბერს ხელმწიფემ კურსკის თავად-აზნაურთა სადღეგრძელო მიირთვა.

ნოვგოროდი. ღამით ძლიერმა ცეცხლმა მთლად გადაჰბუგა საქონლის ბაგი საგუბერნიო ერობის სავადმყოფოსი.

იაროსლავლი. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და საერობო უფროსნი შეიკრიბნენ იაროსლავლში კოფმეისტერ შტიურმერის გასაცილებლად. უხუცეს წინამძღოლის, თავად ურუსოვის, სახლში სადილზე გულითადი მადლობა გამოუცხადა გუბერნატორად ნამყოფს იაროსლავლის თავად-აზნაურობამ.

პეკინი. მთელი სამეფო ოჯახი პირველად გადასახლდა საზაფხულო სასახლეში მას შემდეგ, რაც სამი წელია იქ აღარ ყოფილა. სასახლის გადაკეთება ძვირად დაჯდა. ოთახებს სრულებით აღარ ეტყობათ, რომ იქ უცხოელები მდგარიყვნენ.

პოტსდამი. საქსონიის მეფის მოსვლის გამო სასახლეში სადილი იყო გამართული. იმპერატორმა მოიგონა თავისი კეთილ-განწყობილება განსვენებულ მეფე ალბერტოსთან და მეფეს გიორგის სთხოვა, ისეთივე განწყობილება დაიჭირეთ ჩემთან, როგორიც თქვენს განსვენებულს ძმას ჰქონდაო. საპასუხოდ მეფემ მიუგო: რამდენადაც ჩემგან დამოკიდებული იქნება, ჩემის სახლეულობისა და ხალხისაგანაც, ისე დაცავენ იმპერატორთან და იმის სახელმწიფოსთან კეთილ-განწყობილებას, როგორც მეფის ალბერტოს დროს იყო.

პარიზი. სპარსეთის შაჰი დილის ათ საათს რუსეთს გაემგზავრება.

კურსკი. 1-ლ სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, სადგურ რიშკოვოს ხელმწიფის კარავში უმაღლესი სადილი იყო გამართული. კურსკის გუბერნიაში ხელმწიფის ჩამობრძანებისა გამო, ხელმწიფის ბრძანებით ყველა მოსწავლე სამის დღით გაანთავისუფლეს სკოლაში სიარულისაგან.

ვარშავა. დაარსდა პირველი საკვირაო სკოლა ხელ-საქმისა.—6 სექტემბერს იხსნება საკულინარო გამოფენა.

რიაზანი, იმ გლეხებს, რომელნიც სეტყვისაგან დაზარალდნენ, სესხი მიეცათ თესლის შესაძენად.

საიგონი. ადგილობრივ სულთანის ბრძანებით, 300 ინგლისელმა ჯარის-კაცმა დაიჭირა კელანტანის სამთავრო, რომელიც სიამს აძლევს ხარკს. ასეთმა ძალ-მომრეობამ სიამში დიდად აალელვა ყველანი. ჰშიშობენ, ინგლისის პროტექტორატი მთელ მალაის ნახევარ კუნძულზე არ გაავრცელონ. აჯანყება ჩრდილოეთ სიამში თითქმის მიყუჩდა.

ლონდონი. „დეილი მეილ“-ს სიდნეიდან აცნობებენ, რომ ავსტრალიის სხვა-და-სხვა პარლამენტში წინადადებები იქნა შეტანილი საზოგადო კავშირის გაუქმების შესახებ. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ლაინმა სიტყვაში აღნიშნა, რომ უკმაყოფილებაა; ამასთან სთქვა, კავშირის მექანიზმი შეუფერებელი და მოუხერხებელიაო. იგი ჰფიქრობს, რომ ის უმრავლესობაც-კი, რომელიც საყოველთაო აზრის შეკრების დროს მომხრე იყო კავშირის კანონისა, ეხლა წინააღმდეგია.

პორტ ო-პრენსი. ამბავი მოვიდა, მეამბოხეთა ადმირალის კილლიკის დაღუპვის შესახებ. ადმირალმა თვით ააფეთქა „კრეტ-ა-პრიერო“.

3 სექტემბერი

კავკასი. გაიხსნა კადეტთა კორპუსი.

ხარკოვი. ხარკოვის მაზრის მერეფის სლობოდაში დაიწვა 114 სახლი. გადაიწვა აგრეთვე ქონება და ამ წლის მოსავალი. ზარალი 200,000 მანეთს აღემატება.

პარიზი. როგორც გაზეთი „მატენ“-ი იუწყება, ამ გაზეთის თანამშრომელს უთხოვნია კერძო აუდიენცია პაპისათვის, მაგრამ კარდინალ რამპოლის წერილით უარი შეუთვლია. პაპმა მტკიცედ გადასწყვიტა, ფრთხილად მოიქცეს და არც ერთი სიტყვა არა სთქვას არც საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და არც იმის სასარგებლოდ; ამიტომ პაპი იძულებული იყო, პასუხი არ მიეცა ფრანგ მლოცავთა ადრესზე; ამავე მიზეზით იძულებულია, ჟურნალისტნი არ მიიღოს.

მოსკოვი. დღეს აკურთხეს უზარმაზარი ახალი შენობა ნოქართა საზოგადოებისა. ეს შენობა ააგეს საზოგადოების დაწესებულებათა და სავაჭრო და საპროფესიონალო სკოლებისათვის. პირველ სკოლაში 300 ვაჟი იქმნება, ხოლო მეორეში—200 ქალი.

კურსკი. დღეს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დილის 9 საათს წარბრძანდნენ სოფელ დიაკონოვის მახლობლად სადგურზე. იქ ხელმწიფეს დაჰხვდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. შემდეგ მისი უდიდებულესობა ეტლით მდინარე სეიმის იმ ადგილისაკენ წაბრძანდა, სადაც ჯარი უნდა გასულიყო. ამ დღეს ჩრდილოეთის ჯარი მდინარის მეორე მხარეს ისეთ ადგილს იჭერდა, საიდანაც კურსკის დაცვა შეიძლებოდა. სამხრეთის ჯარმა საგნად გაიხადა ამ მდინარემდე მისვლა და გადასასვლელ გზების დაჭერა. სადგურზე ხელმწიფეს მიეგებნენ მახლობელ ადგილების მცხოვრებნი. გლეხთა ხორომ ჰიმნი შეასრულა. მალცევის მახლობლად ხელმწიფე სოფელ დიაკონოვის ეკკლესიასთან გაჩერდა, სადაც დაჰხვდა შემოსილი კრებული. მისმა უდიდებულესობამ მოისმინა მცირე ლოცვა. გარეთ იცდიდა დიდ-ძალი ხალხი, რომელმაც მისი უდიდებულესობა „ბოჟე, ცარია ხრანის“ სიმღერით და „ურა“-ს ძახილით გააცილა. მდინარე სეიმის ნაპირიდან ხელმწიფე თვალ-ყურს ადევნებდა ჩრდილოეთის ჯარის მიერ ნავების ხიდის გამართვას. აქედან ხელმწიფე სოფელ ლაზოვსკენ წაბრძანდა, სადაც მდინარეზე გადასავლელი იყო. ხელმწიფე ამ სოფლის ეკკლესიაშიაც ბრძანდებოდა. მდინარის მეორე ნაპირას ამ დროსთვის უკვე შეიკრიბა მეათე საკავალერიო დივიზია და მერვე კორპუსის მოწინავე ჯარი. ეს ჯარი, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორის ნახვის ბედნიერება ჯერ არა ჰქონია, აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით ეგებებოდა მის უდიდებულესობას. ხელმწიფემ გასინჯა სამგზავრო სამზარეულოში დამზადებული საჭმელი. მშვენიერი ამინდი იდგა. ჯარის იმ რაზმებს, რომელნიც ხელმწიფემ ინახულა, დაღალობა სრულიად არ ეტყობოდათ, თუმცა 35—40 ვერსი ჰქონდათ გავლილი. დიდ-ძალი ხალხი აღტაცებული ეგებებოდა მის უდიდებულესობას. სოფ. ლაზოვსკიდან ხელმწიფე უკან დაბრუნდა სადგურ რიშკოვოსაკენ, სადაც სამ საათზე მიბრძანდა. ამ დროისათვის კავკასიის ყაზახთა პოლკების ბრიგადა იყო უმთავრესს ჯარებიდან გამოყვანილი და გამზადებული, რომ საიმპერატორო უმთავრესს ბინასთან ყოფილიყო. ოთხი საათი იქმნებოდა, ხელმწიფე ბრიგადასთან გამოვიდა და მიესალმა მას, შემდეგ დაწვრილებით დაათვალიერა ბარგის გადამზიდავები და თავისს წინ ჩაატარა ბრიგადა, რომელმაც წინ ჩაუარა მისს უდიდებულესობას სიმღერით.

ბერლინი. სპარსეთის შაჰი ნაშუადღევის 4 საათს სილეზის ვოკზალზე მოვიდა, საიდანაც რუსეთს მიემგზავრება. იმპერატორის მინდობილობით, შაჰის მიესალმა სტატს-სეკრეტარი რიხტჰოფენი და მშვიდობით მგზავრობა უსურვა. შაჰი დიდის ვეზირის თანდასწრებით ტკბილად ელაპარაკებოდა იმათ, რომელნიც მისასალმებლად მოსულიყვნენ. ოთხი საათის შემდეგ შაჰი რუსეთს გაემგზავრა.

3 სექტემბერი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით დაინიშნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მმართველი მორდვინოვი—თავად-აზნაურთა საქმეების კანცელარიის დირექტორად იმავე სამინისტროში; ტამბოვის გუბერნატორი რჟევსკი—სიმბირსკის გუბერნატორად და საუფლისწულოს უმთავრეს სამმართველოს უფროსის თანაშემწე მუსინ-პუშკინი—მინსკის გუბერნატორად; არხანგელსკის ვიცე-გუბერნატორი ფონ-დერ-ლაუნიცი—ტამბოვის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.—რუმინიის მეფეს წინაშე ელჩი ფონტონი დაინიშნა სამინისტროს საბჭოს წევრად; პეკინის საელჩოს პირველი მდივანი კრუპენსკი—პირველ მდივნად ბერლინის საელჩოში.

ლონდონი. ოფიციალურად გამოცხადებულია, ტყუილია პარიზიდან გავრცელებული ხმები, ვითომ კელანტანის სამთავრო ინგლისელთა 300 ჯარის კაცს დაუჭერია.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ იტყობინება, რომ დამატებით არჩევნებმა ბოლგარიის პარლამენტში სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა და მთავრობის მომხრეების არჩევით დამთავრდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. არდატოვის მაზრაში. გულებაკსკის ქარხანაში, ფერშლის ოჯახში ბავშვის მომვლელმა თხუთმეტის წლის ქალმა ორი ბავშვი მოაღრჩო. ქალი დაიჭირეს და გამოტყდა, ბავშვებმა თავი მომაბეზრეს და მოვაღრჩეო. ქალაქ მელენკაშიაც ამ გვარადვე ვიშორებდი ბავშვებსო.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში ფინანსთა მინისტრის ცირკულიარია დაბეჭდილი საქციზო სამართველოების გამგებლების სახელობაზე. 1902—1903 წლებში რამდენი იქნება ქარხნებში ზედ-მეტი შაქარი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. ([illegible] ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამი-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва).